ვიდეოს მიზანი: პროკურატურის/საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება/პოპულარიზაცია
ფორმატი: გრაფიკა, გახმოვანება, ლოგიკური ბმა/ჩარტი ვიზუალიზაციებს/მესიჯებს შორის
ხანგრძლივობა: მაქსიმუმ 6 წუთი

გახმოვანება	ვიზუალის მინიშნება
პროკურატურა დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომლის მთავარი ფუნქცია სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლა და მისი პრევენციაა. ➢ 2018 წელს, პროკურატურის დამოუკიდებლობა ქვეყნის უზენაესი კანონით - კონსტიტუციით იქნა აღიარებული. შედეგად, ის გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და გახდა სრულად დამოუკიდებელი უწყება. ➢ უწყების დასახელება - მთავარი პროკურატურა - გენერალური პროკურატურით შეიცვალა; თანამდებობა მთავარი პროკურორი კი - გენერალური პროკურორით.	გრაფიკა ჩამონათვალის შინაარსიდან გამომდინარე
საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო საპროკურორო საბჭოს - რომლის მთავარი ფუნქცია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაა. 1. <u>საკანონმდებლო ცვლილებამდე,</u> საბჭოს თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრი იყო; <u>ახლა</u> საბჭოს თავმჯდომარეს თავად საბჭოს წევრები ირჩევენ. 2. <u>ადრე</u> - იუსტიციის მინისტრი საჯარო კონსულტაციების შედეგად არჩევდა მთავარი პროკურორობის კანდიდატებს და საპროკურორო საბჭოს წარუდგენდა დასამტკიცებლად; <u>ახლა</u> კი საპროკურორო საბჭო თავად ატარებს კონსულტაციებს, ირჩევს გენერალური პროკურორის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. 3. <u>ადრე</u> მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება საბჭოს ფუნქცია იყო. <u>ახლა</u>, როცა გენერალური პროკურორის გათავისუფლება მხოლოდ პარლამენტის მიერ, იმპიჩმენტის წესითაა შესაძლებელი, საბჭოს ეს ფუნქცია აღარ აქვს; დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება მას მხოლოდ გენერალური პროკურორის მოადგილეების მიმართ შეუძლია.	<u>**ეხება #1-ის ვიზუალს:**</u> <u>**ადრე:**</u> ✓ =პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული - 8 პროკურორი; ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული - 2 მოსამართლე წევრი; ✓ 4 საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრი, რომელთაგან: ▪ *1 - საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არჩეული;* ▪ *1 - პარლამენტის იმ წევრთაგან არჩეული, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან;* ▪ *2 - კი აკადემიური წრეებიდან, ადვოკატთა ასოციაციის წევრებიდან ან/და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებიდან შერჩეული წევრი.* <u>**ახლა**</u>

4. საპროკურორო საბჭო ისმენს პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.	✓ ანუ: 8 პროკურორი; ✓ 2 მოსამართლე წევრი; ✓ 5 საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრი: ▪ *1 - საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არჩეული;* ▪ *1 - პარლამენტის იმ წევრთაგან არჩეული, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან;* ▪ ***1 - იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი წევრი [გრაფიკულად ეს ჩანართი გაკეთდება]*** ▪ *2 - აკადემიური წრეებიდან, ადვოკატთა ასოციაციის წევრებიდან ან/და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებიდან შერჩეული წევრი.* **ეხება #2-ის ვიზუალს:** ✓ საბჭოს მიერ, კონსულტაციების შედეგად შერჩეულ კანდიდატს - პარლამენტი ირჩევს. **ეხება #3-ის ვიზუალს:** შინაარსიდან გამომდინარე **ეხება #4-ის ვიზუალს:** შინაარსიდან გამომდინარე; მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საბჭოს მხოლოდ ანგარიშის მოსმენის და რეკომენდაციების გაცემის შესაძლებლობა აქვს.
საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა გენერალური პროკურორის უფლება-მოვალეობები. ის: ✓ პასუხისმგებელია პროკურატურის სისტემის სრულ მართვაზე; ✓ არის სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ბრალმდებელი; ✓ გენერალური პროკურორი ანგარიშვალ დებულია პარლამენტის წინაშე.	გრაფიკა ჩამონათვალის შინაარსიდან გამომდინარე
გაძლიერდა საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე. • გენერალური პროკურორი ვალდებულია პროკურატურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში, ყოველი წლის 15 მაისამდე წარუდგინოს პარლამენტს.	გრაფიკა ჩამონათვალის შინაარსიდან გამომდინარე

• მოთხოვნის შემთხვევაში, ის ან მისი მოადგილეები ვალდებულნი არიან, დაესწრონ პარლამენტის სხდომებს, გასცენ კითხვებზე პასუხი და წარადგინონ საქმიანობის შესახებ ანგარიში.	
	ლოგოები: [მარცხნიდან] ევროკავშირი და IDFI **დისქლეიმერი**: ვიდეო მომზადდა ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. ვიდეოს შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირის პოზიციად დაუშვებელია. **#EU4Georgia**